



FAR/57-23

შპს საქსპექტრანსი

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	6
მოგება ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	9
1. ანგარიშის წარმდგენი პირი	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება	10
3. სააღრიცხო პოლიტიკა	10
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	15
5. ძირითადი საშუალებები	17
6. საინვესტიციო ქონება	19
7. მარაგები	19
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	19
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	20
10. საწესდებო კაპიტალი	20
11. სესხები	20
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21
13. შემოსავალი	21
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	22
16. გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	22
17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	22
18. პირობითი ვალდებულებები	22
19. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	23
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქსპექტრანსის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიჩიარავეს შპს საქსპექტრანსის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო არაფულადი შენატანები კაპიტალში 14,230,385 ლარის ოდენობით და განახორციელა კაპიტალის შემცირება არაფულადი ოპერაციებით 4,147,246 ლარით. ამ ოპერაციების რეალური ღირებულებები განისაზღვრა ტრანზაქციის დროს. თუმცა, ჩვენ ვერ დავადგინეთ ქონების შეფასების სისწორე კაპიტალში შენატანის დროს. აღნიშნული ქონების ღირებულებების სისწორეზე რწმუნების ნაკლებობის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, იყო თუ არა საჭირო კაპიტალის რაიმე კორექტირება შეფასების პოტენციური ზემოქმედების გამო.
2. კომპანია წინა წლებში გადავიდა ძირითადი საშუალებების გადაფასების მეთოდზე რის შედეგადაც აღიარებული გადაფასების რეზერვი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,676,523 ლარს. თუმცა, ჩვენ ვერ მივიღეთ ქონების გადაფასების დეტალები. დეტალური ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უშლის ჩვენს შესაძლებლობას საფუძვლიანად შევაფასოთ გადაფასების რეზერვის სიზუსტე და სისრულე, ღირებულება, მათი ამორტიზაცია და შესაბამისი გადაფასებული თანხები. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი ცვეთისა და გადაფასების რეზერვის სისწორის შესახებ. გარდა ამისა, დეტალური ინფორმაციის არარსებობა ხელს გვიშლის იმის გარკვევაში, განიცადა თუ არა ცალკეულმა ძირითადმა საშუალებამ ღირებულების შემცირება, რაც მოითხოვს გაუფასურებად აღიარებას. ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა გადაფასების რეზერვში 2022 წლისთვის.
3. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 26,256,109 მლნ ლარს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის, როგორც ფულად ასევე არაფულად შენატანებს (საინვესტიციო ქონება და ძირითადი საშუალებები). ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არაფულადი შენატანები განხორციელდა სხვადასხვა წლებში და სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ოპერაციების დროს. თუმცა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ განგვესაზღვრა ქონების შეფასებების სისწორე კაპიტალში შენატანის დროს. რწმუნების ნაკლებობა ქონების ღირებულებების სისწორესთან დაკავშირებით წარმოადგენს რისკს. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭიროა თუ არა კომპანიის კაპიტალის რაიმე კორექტირება შეფასებების პოტენციური გავლენის გამო. ასევე, ჩვენ ვერ მივიღეთ დეტალური ინფორმაცია კაპიტალის შემადგენლობასთან დაკავშირებით, კონკრეტულად, ფულადი და არაფულადი შენატანების შესახებ. საწესდებო კაპიტალის შემადგენლობის შესახებ დეტალური ინფორმაციის არარსებობა იწვევს ეჭვს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობისა და სიზუსტის შესახებ.

4. ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ვერ შევძელით დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 24,369,721 ლარს (2021: 10,770,009). ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული ძირითადი საშუალებების ნაშთის არსებობასა და ოდენობაში შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.
5. ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციის პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 906,383 ლარს (2021: 562,714). ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული მარაგების ნაშთის არსებობასა და ოდენობაში შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.
6. კომპანია ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომლის რეალური ღირებულებაა 3,402,798 მილიონი ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სამართლიანი წარდგენის მიზნებისთვისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) მოითხოვს მათი საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულების გამჟღავნებას. თუმცა, კომპანია არ ფლობს ინფორმაციას იმ ფაქტობრივი ისტორიული ღირებულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ხდება რეალური ღირებულების დადგენა. ამ ქონების ღირებულების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა გამოწვეულია იმით, რომ ქონების უმეტესი ნაწილი მოპოვებული იყო დაკავშირებული მხარეებისგან, შესაბამისად ჩვენ ვერ დავადგინეთ მოხდა თუ არა გარიგება გაშლილი ხელის პრინციპით. ინფორმაციის ნაკლებობა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულების შესახებ წარმოშობს ეჭვს ფინანსური ანგარიშგების IFRS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.
7. 2022 წლის ბოლოს კომპანიას აქვს მოთხოვნებისა და სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი 402,584 ლარი (2021: 668,602) და 188,270 ლარი (2021: 211,937). ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, ამ ნაშთების სისწორესა და სისრულეზე. გარდა ამისა, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავგვედგინა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
8. ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნა, მოცემულია შპს „ჯორჯიან მანგანუმისგან“ საჩუქრად მიღებულ თანხა საბაგირო გზების შესაკეთებლად 4,5 მილიონი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ეს ფინანსური საჩუქარი მიღებული იქნა 2021 წელს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 8 (IAS 8) მიხედვით, სააღრიცხვო პრინციპები, რომლებიც არეგულირებს სააღრიცხვო პოლიტიკაში, შეფასებებსა და შეცდომებს, ეს ფინანსური საჩუქარი შპს „ჯორჯიან მანგანუმისგან“ უნდა დაფიქსირებულიყო იმ წელს, როცა მიღებული იქნა, კერძოდ, 2021 წელს. ჩვენმა აუდიტმა გამოავლინა, რომ კომპანიას არ განუხორციელებია ფინანსური ანგარიშგების კორექტირება ბასს 8-ის შესაბამისად, რაც საჭიროებს წინა სააღრიცხვო შეცდომების გამოსწორებას და შედარებითი მაჩვენებლების ხელახლა ჩამოყალიბებას.
9. შპს „საქსპეცტრანსის“ 2022 წლით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს, გამოვავლინეთ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უკავშირდება კომპანიის მიერ მიღებული სახსრების ბუღალტრულ აღრიცხვას. შპს „საქსპეცტრანსის“ საოპერაციო საქმიანობა მოიცავს ოპერაციებს, რომლის დროსაც დედა კომპანიას კაპიტალში შეაქვს ქონება, ხოლო შვილობილი კომპანია არემონტებს ამ ქონებას და შემდგომ დედა კომპანია ამცირებს კაპიტალს ამ ქონების შეფასებული ღირებულებით, ეს ქონება ნაჩვენებია ძირითად საშუალებებში როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებელი ქონება. ჩვენმა აუდიტმა გამოავლინა, რომ მიღებული ქონების ზუსტი ბუნება და ბუღალტრული აღრიცხვა, მათი შეკეთება და კაპიტალის შემცირება საჭიროებს დამატებით დამუშავებას. ჩვენ ვერ დავადგინეთ, წარმოადგენს თუ არა ეს ტრანზაქციები სახელმწიფო გრანტებს, შენატანებს ან ფინანსურ მხარდაჭერას. ამ ტრანზაქციების სირთულისა და მათი ფინანსური გავლენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრი მოდიფიცირებულია ამ საკითხთან დაკავშირებით.
10. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 282,571 ლარის ღირებულებით წარდგენილ სხვა რეზერვების მუხლთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნული ნაშთის კლასიფიკაციასთან მიმართებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.
11. კომპანია აღრიცხავს საინვესტიციო ქონებას მისი რეალური ღირებულებით, რომელიც შეადგენს 3,402,798 ლარს, თუმცა კომპანიას არ შეუფასებია მათი რეალური ღირებულება. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დადგენა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული მარაგების ნაშთის არსებობასა და ოდენობაში შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

გეოლოგიურიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავადგინეთ, იყო თუ არა საჭირო რაიმე კორექტირების შეტანა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრის შედეგად მიღებულ შედეგში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა მთლიან შემოსავლებში, ასევე ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამისი ელემენტები და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტებული იყო სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც უარი განაცხადა მოსაზრების გამოთქმაზე 2022 წლის 29 სექტემბერს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

24 ნოემბერი, 2023

შპს არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტბა

Rsm Georgia


შპს საქსპექტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	20,947,390	7,367,301
საინვესტიციო ქონება	6	3,402,798	3,402,798
არამატერიალური აქტივები		8,538	10,368
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		-	529
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,358,726	10,780,996
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	906,383	562,714
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	138,450	550,103
საგადასახადო აქტივი		412,766	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	4,825,895	113,633
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,283,494	1,226,450
სულ აქტივები		30,642,220	12,007,446
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	12	260,808	717,747
სასესხო ვალდებულება	11	920,555	859,943
საგადასახადო ვალდებულებები		382,892	43,703
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,564,255	1,621,393
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	26,256,109	14,435,651
სხვა რეზერვები		282,571	282,571
გადაფასების რეზერვი		10,676,523	4,959,609
დაგროვილი ზარალი		(8,137,238)	(9,291,778)
სულ კაპიტალი		29,077,965	10,386,053
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		30,642,220	12,007,446



ლევანი ჯიმშელიშვილი

გენერალური დირექტორი

შპს საქსპექტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

მოგება ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	13	737,752	841,934
თვითღირებულება	14	(452,998)	(981,970)
საოპერაციო მოგება/ზარალი		284,754	(140,036)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,170,840)	(612,730)
საოპერაციო ზარალი		(886,086)	(752,766)
საქველმოქმედო ხარჯი		-	(754,641)
არასაოპერაციო შემოსავალი	17	5,380,604	85,217
არასაოპერაციო ზარალი	17	(614,664)	(597,771)
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	16	(2,950,052)	-
ცვლილება გაუფასურების რეზერვში		(145,637)	(6,958)
საპროცენტო შემოსავალი		370,375	6,515
ზარალი გადასახადებამდე		1,154,540	(2,020,404)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(139)
წმინდა ზარალი		1,154,540	(2,020,543)
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალების გადაფასებიდან		5,716,914	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარჯი)		6,871,454	(2,020,543)


ლევანი ჯიმშელაშვილი

გენერალური დირექტორი

შპს საქსპექტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

* კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,821,985	(7,271,306)	9,848,424	282,571	16,681,674
კაპიტალის მოძრაობა	613,666	-	-	-	613,666
წლის მოგება	-	(2,020,472)	-	-	(2,020,472)
რეზერვის მოძრაობა	-	-	(4,888,815)	-	(4,888,815)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,435,651	(9,291,778)	4,959,609	282,571	10,386,053
კაპიტალის ზრდა	16,010,705	-	-	-	16,010,705
კაპიტალის კლება	(4,190,247)	-	-	-	(4,190,247)
წლის მოგება	-	1,154,540	-	-	1,154,540
რეზერვის მოძრაობა	-	-	5,716,914	-	5,716,914
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,256,109	(8,137,238)	10,676,523	282,571	29,077,965


ლევანი ჯიმელეიშვილი
გენერალური დირექტორი

შპს საქსპექტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობები		
მოგება გადასახადებამდე	1,154,540	(2,020,472)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	174,399	139,849
საპროცენტო ხარჯი	60,612	55,613
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	145,637	(6,958)
ძირითადი საშუალების გაუფასურების ხარჯი	2,950,052	-
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:		
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(341,644)	607,716
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებაში	(73,577)	309,264
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(456,939)	572,953
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	266,545	(204,074)
გადახდილი პროცენტი	-	(1,000)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	3,879,625	(547,109)
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,345,704)	(340,559)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	1,441,021	1,337
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(904,683)	(339,222)
ფინანსური საქმიანობები		
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	-	28,864
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვა	-	(4,000)
საწესდებო კაპიტალის შევსება	1,737,320	942,800
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	9	967,664
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	4,712,262	81,333
ფულთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	113,633	32,300
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	9	113,633



ლევანი ჯემშელიძე

გენერალური დირექტორი

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

ორგანიზაცია და საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქსპექტრანსი" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2005 წლის 1 აპრილს.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა: პროექტირება, მშენებლობა, მონტაჟი, საოპერაციო თანამშრომლების მომზადება და სპეციალური ტრანსპორტისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა (საბაგიროები, მონოსარკინიგზო გზები, საკაბელო ამწეები, ატრაქციონები, კონვეიერები, ხიდეები, სამგზავრო და სატვირთო ლიფტები), ასევე გზებისა და ფარების დიზაინი სარწყავი სისტემებში გამოსაყენებლად და ღარების წარმოებასა და რეალიზაციაზე.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია", რომლის 100%-იან წილსაც სახელმწიფო ფლობს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღივსვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფუნქციონალური და წარმადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია ეს ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კომპანია სახელმწიფო საკუთრებაშია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია 2022 და 2021 წლებში არის ზარალზე, კომპანიის შემოსავლის დინამიკა სტაბილურია, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ეს დინამიკა შესაძლებელს გახდის კომპანიის სტაბილურ მუშაობას. ასევე, კომპანიის ამჟამინდელი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებას, რაც გულისხმობს რომ კომპანია არის ვალდებულებების გადახდისუნარიანი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხო პოლიტიკა

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია ღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და უშუალოდ შემენის ხარჯებს. თუ ქონება შეძენილია არაფულადი აქტივების ან ფულადი და არაფულადი აქტივების კომბინაციის საშუალებით, ის ფასდება რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება ფასდება რეალური ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის მოწესრიგებული გარიგების დროს შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც შეესაბამება ქონების ბუნებას, მდებარეობას და მდგომარეობას. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ისინი წარმოიქმნება. ეს ნიშნავს, რომ ქონების რეალური ღირებულების ნებისმიერი ზრდა ან შემცირება აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. საინვესტიციო ქონების გასხვისებისას, ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გასხვისებიდან, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

შპს საქსპექტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. ასევე აქტივის დემონტაჟისა და ტერიტორიის გადატანის ღირებულების საწყისი შეფასება. სავარაუდო ხარჯები აღიარებულია რეზერვის სახით. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს აქვთ განსხვავებული სასარგებლო ვადა, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკეულ ერთეულებად.

ძირითადი საშუალებების კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება აღიარებულია ნივთის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინება კომპანიას და მისი ღირებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება გაუქმებულია. ქონებისა და აღჭურვილობის ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოშობისთანავე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ქონების გადაფასება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შედეგად, ამ თარიღიდან კომპანია აქტივებს აფასებს გადაფასების მოდელის გამოყენებით, მანამდე კი ძირითად საშუალებებს აღრიცხავდა თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

აქტივად აღიარების შემდეგ ქონება აღირიცხება გადაფასების მოდელის გამოყენებით, დაგროვილი ცვეთის და/ან გაუფასურების ხარჯების გამოკლებით. ამორტიზაცია ირიცხება მოგების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო ვადის შეფასების საფუძველზე. ამორტიზაცია იწყება აქტივის გამოყენებისას.

ძირითადი ძირითადი ელემენტების სასარგებლო ვადები მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

შენობები	18 დან 50 წლამდე;
მანქანა დანადგარები	5 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
მიწა	არ იცვითება;

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია. თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შეიძაგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებელი ფინანსური აქტივები.

შპს საქსპექტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

საწარმო, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი. პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი.

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით: სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით; სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით; ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში

შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის

შპს საქსპეცტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიით სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულები პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით. გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

კადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
ECL პროცენტი	2%	5%	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმოში შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმომადგენელი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმომადგენელი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ინვესტიცია შვილობილ და მკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებსა და ასოცირებულ კომპანიებში ხორციელდება კომპანიის ბალანსში ნაკლებად დაგროვილი გაუფასურების დანაკარგებით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ტარდება ინვესტიციის გაუფასურების ტესტი. შვილობილი კომპანიების, ერთობლივი საწარმოებისა და მასთან დაკავშირებული კომპანიების ინვესტიციების განკარგვის შესახებ, სხვაობა განკარგვის შემოსავლებსა და ინვესტიციების თანხებს შორის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში აღიარებულია, როდესაც მშობელი კომპანია ახორციელებს ფულად ან სხვა შენატანს.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ ხარჯსა და წარმოებასთან დაკავშირებულ ზედნაღებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო შესაძლებლობებზე დაყრდნობით), მაგრამ გამორიცხავს სესხის აღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება

შპს საქსპექტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. სხვაობა არაფულადი შენატანის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან აღიარდება შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში. გაცემული საიჯარო შეღავათები აღიარდება მთლიანი საიჯარო შემოსავლის განუყოფელი ნაწილის შემოსავლის სახით, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შევსებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გადგვლითი კურსები

გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს

საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს

საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.91	3.81
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.07	3.81

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

შპს საქსპეცტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის:

სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტების ნაცვლად გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება 2023 წლამდე;

2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 სადაზღვევო კონტრაქტები, რომელიც 2023 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს:17.

შპს საქსეცტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	ნაგებობები	აგეჯი და საოფისე ტექნიკა	მანქანა - დანადგარები	მესაკუთრე ზე გასანაწილებ ლი ქონება (მიწა)	მესაკუთრე ზე გასანაწილებ ლი ქონება (მეწიწეები)	მესაკუთრე ებზე გასანაწილე ბელი ქონება (სხვა აქტივები)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2020	8,197,832	1,310,863	93,535	345,261	146,096	5,595,053	15,688,640
შეძენა	2,944,300	293,023	4,439	207,143	1,257,928	866,678	5,573,511
ჩამოწერა	(4,106,656)	(92,670)	(5,831)	(129,645)	-	(5,855,411)	(10,190,213)
საინვესტიციო ქონებაზე გადატანა	(2,964,708)	(90,686)	-	-	-	-	(3,055,394)
31 დეკემბერი, 2021	4,070,768	1,420,530	92,143	422,759	1,404,024	606,320	8,016,544
შეძენა	-	-	17,789	602,454	-	-	-
კაპიტალში შენატანი	1,982,724	6	-	45,000	6,718,695	4,821,429	620,243
გასვლა	(1,428,800)	(82,916)	-	(93,027)	(304,939)	468,661	14,228,360
კაპიტალიდან გატანა	-	-	-	(419,448)	(623,140)	(3,104,659)	(1,441,021)
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	1,725,461	(4,147,247)
შიდა ტრანსფერი	(223,636)	4	28,976	(28,976)	223,632	-	1,725,461
აგეგმიური ცვლილება ცვეთის გადახურვა გასვლისას	-	(4,768)	-	(51,157)	-	-	-
გადაფასების შედეგი	895,099	1,436,183	2,333	473,140	2,910,159	-	(55,925)
აგეგმიური ცვლილება ცვეთის გადახურვა თვითღირებულებაზე	-	(445,044)	(87,362)	(233,481)	-	-	5,716,914
პირითადი საშუალებების გაუფასურება	(1,041,712)	-	(24,881)	(80,518)	(1,048,819)	(754,122)	(765,887)
31 დეკემბერი, 2022	4,254,443	2,323,995	28,998	636,746	9,279,612	3,763,090	(2,950,052)
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი, 2020	-	223,601	79,661	263,681	-	-	566,943
ასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	107,599	5,673	26,577	-	-	139,849
ცვეთის ხარჯი	-	-	(3,508)	(54,041)	-	-	(57,549)
31 დეკემბერი, 2021	-	331,200	81,826	236,217	-	-	649,243
კუმულირებული ცვეთის გადახურვა გასვლისას	-	93,743	11,043	67,783	-	-	172,569
იდა ტრანსფერი	-	(4,768)	-	(51,157)	-	-	(55,925)
ცვეთის ხარჯი	-	24,869	(5,507)	(19,362)	-	-	-
კუმულირებული ცვეთის გადახურვა თვითღირებულებაზე	-	(445,044)	(87,362)	(233,481)	-	-	(765,887)
31 დეკემბერი, 2022	-	-	-	-	-	-	-
მინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2020	8,197,832	1,087,262	13,874	81,580	146,096	5,595,053	15,121,697

შპს საქსპეცტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

31 დეკემბერი, 2021	4,070,768	1,089,330	10,317	186,542	1,404,024	606,320	-	7,367,301
31 დეკემბერი, 2022	4,254,443	2,323,995	28,998	636,746	9,279,612	3,763,090	660,506	20,947,390

ალიარების მეთოდი: საწყისი ალიარება: ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენის ნებისმიერ პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს.

შემდგომი შეფასება: თავდაპირველი ალიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასებით თანხებით მოდელის მიხედვით. გადაფასებული თანხები არის აქტივების რეალური ღირებულება გადაფასების თარიღისთვის, ყოველგვარი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

გადაფასების სიხშირე: ძირითადი საშუალებების გადაფასდება ხდება პერიოდულად, ყოველ მე სამე წელს. იმისათვის რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისგან საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: გადაფასებას ახორციელებენ დამოუკიდებელი შემფასებლები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება აქტივების შეფასებაში. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ალიარებული შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ეს ტექნიკა შეიძლება მოიცავდეს ბაზრის შედარებებს, შემოსავლის მიდგომებს და ხარჯებზე დაფუძნებულ პეთოდოლოგიებს, შედარების მეთოდს ენიჭება უპირატესობა, როცა ეს შესაძლებელია.

გადაფასების ზრდა: აქტივის გადაფასებული ოდენობის ნებისმიერი ზრდა აღიარებულია, როგორც გადაფასების ნამეტო სხვა მთლიან შემოსავალსა და კაპიტალში, გადაფასების რეზერვის სახელით.

გადაფასების დეფიციტი: თუ გადაფასება იწვევს დეფიციტს, ის აღიარებულია მოგება ზარალში.

მორტიზაცია: ამორტიზაციის ხარჯი გამოითვლება აქტივის გადაფასებულ თანხაზე, რომელიც არის მისი რეალური ღირებულება გადაფასების თარიღისთვის.

შპს საქსპეცტრანსი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში
6. საინვესტიციო ქონება

	მიწის ნაკვეთი	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი, 2020	301,937	45,467	347,404
დამატება	2,964,708	90,686	3,055,394
წმინდა მოგება სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	3,266,645	136,153	3,402,798
წმინდა მოგება სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	3,266,645	136,153	3,402,798

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნედლეული და მასალები	873,291	294,533
კომპანიის მიერ წარმოებული მასალები	25,334	37,262
დაუმთავრებელი წარმოება	-	33,966
პროექტთან დაკავშირებული მასალები	-	177,659
სხვა მარაგები	7,758	19,294
სულ მარაგები	906,383	562,714

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	69,187	51,349
მოღბოვნები საიჯარო მომსახურებიდან	79,521	80,941
გადახდილი ავანსები	202,727	36,304
სხვა მოთხოვნები	51,151	500,008
საექვო მოთხოვნების რეზერვები	(264,136)	(118,499)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	138,450	550,103

გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდილ თანხებს მშენებლობისათვის და სხვა სამუშაოებისთვის.

წლის განმავლობაში ანარიცხების მოძრაობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ანარიცხების მოძრაობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით	(118,499)	(111,541)
წლის განმავლობაში შექმნილი ანარიცხები	(145,637)	(6,958)
ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(264,136)	(118,499)

ანარიცხები იქმნება სავაჭრო მოთხოვნებზე, საიჯარო მომსახურებიდან წარმოშობილ მოთხოვნებსა და გადახდილ ავანსებზე.
ანარიცხების დეტალური გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილება	წლის ნაშთი 2022	2023 წლის გადახდები	%	რეზერვი
მიმდინარე	52,167	22,732	2%	589
31 დან 60 დღემდე	3,852	-	5%	193
61 დან 90 დღემდე	21,923	406	25%	5,379
91 დან 180 დღემდე	30,345	510	50%	14,917
181 დან 360 დღემდე	6,260	-	100%	6,260
361 დღეზე მეტი	236,886	88	100%	236,798
სულ	351,433	23,736	3	264,136

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	49,030	113,633
დეპოზიტი ეროვნულ ვალუტაში	4,776,865	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,825,895	113,633

წლის განმავლობაში დეპოზიტზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 345,006 ლარს (2021: 0 ლარი), მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი 25,370 ლარს შეადგენდა (2021: 6,515 ლარი). ანაზრის ანგარიშზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12.40%.

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, დაგროვილი ზარალისა და გადაფასების რეზერვებისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის განმავლობაში 15 967 705 ლარით გაიზარდა და 4 147 247 ლარით შემცირდა, რადგან აქციონერმა საწესდებო კაპიტალიდან ამოიღო ძირითადი საშუალება, მარაგი და ფულადი ექვივალენტები (2021: საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 7,680,036 ლარით და ასევე შემცირდა 5,241,011 ლარით).

საწესდებო კაპიტალის დეტალური მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

ბალანსი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14,435,651
დამატება	
ძირითადი საშუალებები	14,228,360
საინვესტიციო ქონება	-
მარაგები	2,026
ფულადი სახსრები	1,737,319
გატანა	
ძირითადი საშუალებები	(4,147,247)
საინვესტიციო ქონება	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,256,109

11. სესხები

მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-22	31-დეკ-21	გამოქვეყნების თარიღი	დაფარვის თარიღი	ძირის დაფარვა	პროცენტის დაფარვა	პროცენტი %
შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	24,864	24,864	4/2/2019	4/3/2019	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	11.10%
შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	506,678	506,678	31/12/2016	31/6/2018	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	12%
სულ მოკლევადიანი სესხები	531,542	531,542					
მიღებული პროცენტი	389,013	328,401					
სულ სესხები	920,555	859,942					

	2022	2021
სესხის ძირი	531,542	531,542
საპროცენტო ვალდებულება	389,013	328,401
სულ სესხები	920,555	859,943

შპს საქსპექტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

სესხის მოძრაობა	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	859,943	780,466
სესხის აღება	-	28,864
გადახდილი ძირი	-	(4,000)
გადახდილი პროცენტი	-	(1,000)
საპროცენტო ხარჯი	60,612	55,613
31 დეკემბრის მდგომარეობით	920,555	859,943

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	119,129	147,849
გადასახდელი ხელფასი	-	2,605
მიღებული ავანსები	72,538	503,205
სხვა ვალდებულებები	69,141	64,088
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	260,808	717,747

13. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავალი 2022 და 2021 წლებში შემდეგნაირია:

	2022	2021
რეალიზებული საქონლით		
მიღებული შემოსავალი	508,166	811,707
საიჯარო შემოსავალი	211,116	-
გაწეული მომსახურებიდან		
მიღებული შემოსავალი	18,470	15,344
სხვა შემოსავალი	-	14,883
სულ შემოსავალი	737,752	841,934

კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი მოდის ე.წ. სარწყავი ფარებისა და ლარების გაყიდვიდან, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლებში შემდეგნაირი იყო:

	2022	2021
რეალიზებული საქონლის		
თვითღირებულება	253,404	825,731
პირდაპირი ხელფასი	149,863	133,972
პროექტთან დაკავშირებული ხარჯები	11,995	7,824
ცვეთის ხარჯი	12,449	12,449
სხვა ხარჯი	25,287	1,994
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	452,998	981,970

შპს საქსპექტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	515,971	224,813
ცვეთა და ამორტიზაცია	161,946	127,400
პროექტების დანახარჯები	97,457	116,084
კომუნალური ხარჯი	62,672	34,296
შენობის შეფასებისა და დემონტაჟის ხარჯი	61,565	-
ქონების გადასახადი	56,559	20,549
საწვავის ხარჯი	56,544	16,724
რემონტის ხარჯი	37,752	11,302
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	33,749	30,640
დაზღვევის ხარჯი	10,737	8,687
სოციალური დანარიცხები	7,653	3,580
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,786	-
მომსახურების ხარჯი	-	14,825
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	66,449	3,830
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	1,170,840	612,730

16. გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი

2022 წლის ბოლოს კომპანიამ გადაფასა ძირითადი საშუალებები, გადაფასების ნამეტმა შეადგინა 5,716,914 ლარი, ხოლო გადაფასების ზარალია 1,147,111 ლარი.

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	409,125	10,747
საპროცენტო ხარჯი	60,612	55,613
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	144,927	531,411
სულ არასაოპერაციო ხარჯი	614,664	597,771

არასაოპერაციო ხარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯებს, კომპანიის 100% აქციონერის შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისგან" მიღებულ სესხებს.

	2022	2021
საჩუქრად მიღებული თანხა	4,981,602	-
საიჯარო შემოსავალი	-	56,949
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	26,305
წინა პერიოდის კორექტირების გაუქმება	275,837	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	123,165	1,963
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	5,380,604	85,217

საჩუქრად მიღებული თანხა მოიცავს შპს ჯორჯან მანგანუხისგან მიღებულ თანხას საბაგირო გზების შესაკეთებლად.

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია და ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადებისა და ჯარიმების ვალდებულება არ შეიძლება დაწესდეს საგადასახადო ორგანოს მიერ იმ წლის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ, რომელშიც მოხდა დარღვევა.

შპს საქსპეკტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

მოცემულმა გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად შეაფასა თავისი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაცია და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, მათი საბალანსო ღირებულების შესაბამისია.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,825,895	113,633
სულ ფინანსური აქტივები	68,732	138,713
ფინანსური ვალდებულებები	4,894,627	252,346
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო ვალდებულებები	188,270	214,542
სესხები	382,892	43,703
სულ ფინანსური ვალდებულებები	920,555	859,943
	1,491,717	1,118,188

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო

შპს საქსპეცტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

ერთეულზეთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ფინანსური აქტივები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,825,895	113,633
სავაჭრო მოთხოვნები	68,732	138,713
სულ ფინანსური აქტივები	4,894,627	252,346

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში, კლასიფიცირებულია 1 დონეში, 2022 წლის დასაწყისში და ბოლოს.

	2022			
	სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,825,895	-	-	4,825,895
სავაჭრო მოთხოვნები	68,732	-	-	68,732
სულ ფინანსური აქტივები	4,894,627	-	-	4,894,627
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	188,270	-	-	188,270
საგადასახადო ვალდებულებები	382,892	-	-	382,892
სესხები	920,555	-	-	920,555
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,491,717	-	-	1,491,717
	2021			
	სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	113,633	-	-	113,633
სავაჭრო მოთხოვნები	138,713	-	-	138,713
სულ ფინანსური აქტივები	252,346	-	-	252,346
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	214,542	-	-	214,542
საგადასახადო ვალდებულებები	43,703	-	-	43,703
სესხები	859,943	-	-	859,943
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,118,188	-	-	1,118,188

რაც შეეხება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს ხუთი ვადაგადაცილებული დიაპაზონი: 30 დღეზე ნაკლები, 31-60 დღე, 61-90 დღე, 91-180 დღე და 180 დღეზე მეტი. ECL პროცენტი ეფუძნება კომპანიის საოპერაციო სექტორს და წინა გამოცდილებას. საკრედიტო ზარალის სავარაუდო ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	> 180
ECL პროცენტი	2%	5%	25%	50%	100%

ინვესტიციისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ემყარება საკრედიტო რისკის ცვლილებას საწყისი აღიარების შემდეგ.

შპს საქსპეტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

ზარალის შემწეობა იზომება რომელიმე შემდეგ ბაზაზე: ა) 12 თვიანი ECLs - თუ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ ბ) უვადო ECLs - თუ ამ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვნად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიამ გამოიყენა 12 თვიანი ECL ინვესტიციისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუმწიფდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	4,825,895	-	-	4,825,895
სავაჭრო მოთხოვნები	68,732	-	-	68,732
სულ ფინანსური აქტივები	4,894,627	-	-	4,894,627
სავაჭრო ვალდებულებები	188,270	-	-	188,270
საგადასახადო ვალდებულებები	382,892	-	-	382,892
სესხები	920,555	-	-	920,555
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,491,717	-	-	1,491,717
ლიკვიდურობის პოზიცია	3,402,910	-	-	3,402,910

ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	113,633	-	-	113,633
სავაჭრო მოთხოვნები	138,713	-	-	138,713
სულ ფინანსური აქტივები	252,346	-	-	252,346
სავაჭრო ვალდებულებები	214,542	-	-	214,542
საგადასახადო ვალდებულებები	43,703	-	-	43,703
სესხები	859,943	-	-	859,943
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,118,188	-	-	1,118,188
ლიკვიდურობის პოზიცია	(865,841)	-	-	(865,841)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიას აქ აქვს სავალუტო რისკი რადგან არ აქვს ნაშთები უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას, კერძოდ:

საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

შპს საქსპეცტრანსი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ქართულ ლარში

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (1) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (1) (ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოადგენილი ქვემოთ:

	2022	2021
აქტივები		
სესხები		
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	920,555	859,943
სულ აქტივები	50,747	32,946
	971,302	892,889

	2022	2021
დარიცხული პროცენტი		
სულ დარიცხული პროცენტი	60,612	55,613
	60,612	55,613

ქვემოთ მოცემულია მენეჯმენტის ძირითადი კომპენსაცია შესაბამისი პერიოდის განმავლობაში:

მენეჯმენტის კომპენსაცია	2022	2021
ხელფასები და სარგებელი	74,217	55,236

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წელს კომპანიის კაპიტალი გაიზარდა არაფულადი სახით 4,536,217 ლარის, და შემცირდა არაფულადი სახით 2,697,197 ლარის.